2018 წლის 11 აპრილი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.33). სხდომის მონაწილე სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

რაჟდენ კუპრაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

დავით ახალაური- წევრი

ლელა ბჟალავა - წევრი

თეიმურაზ მესხი - წევრი

სხდომას არ ესწრებოდა წევრი- **ნუნუ კვანტალიანი**

ქეთევან ჯაფარიძე- სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

სხდომის დაწყების დრო- 16:00 საათი

დღის წესრიგი:

1. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 29 -ე მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, ასოციაციის საფინანსო საქმიანობის შემოწმების, ასევე, ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის

თანახმად, კანონის და წესდების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ასოციაციის 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური აუდიტის ჩატარებისთვის კონკურსის გამოცხადების შესახებ მსჯელობა.

სხდომის თავმჯდომარემ რაჟდენ კუპრაშვილმა წევრებს შესთავაზა წინადადება, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიზნით, განაცხადების შემოტანის ვადად განისაზღვროს 15 სამუშაო დღე: 2018 წლის 16 აპრილიდან - 04 მაისის, 18:00 საათის ჩათვლით. კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია აუდირებისთვის განსაზღვრული მიზნების მითითებით განთავსებულ იქნას ასოციაციის ვებ-გვერდზე; ასევე, ვებ-გვერდებზე: www.hr.ge, www.jobs.ge

სარევიზიო კომისიის მომდევნო სხდომა ჩაინიშნა მიმდინარე წლის 11 მაისს, 16:00 საათზე.

რაჟდენ კუპრაშვილი- კომისიის თავმჯდომარე

დავით ახალაური- წევრი

ლელა ბჟალავა - წევრი

თეიმურაზ მესხი - წევრი